



## საგრანტო კონკურსი „მომხმარებელთა დახმარების ცენტრების მხარდასაჭერად“

ევროპის ფონდი იწვევს განაცხადებს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან საქართველოს რეგიონებში მომხმარებელთა დახმარების ცენტრების მხარდასაჭერად.

### პრობლემის აღწერა

წლების მანძილზე საქართველოში მომხმარებლის უფლებების დაცვის კუთხით სახელმწიფო რეგულირება სუსტი იყო. ამას ემატებოდა სამომხმარებლო განათლების პროგრამების არარსებობა და, აქედან გამომდინარე, სამომხმარებლო კულტურის დაბალი დონე. მართალია, ბოლო წლების მანძილზე საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო რეფორმების განხორციელება მომხმარებლის უფლებების უკეთ დაცვის მიზნით, მაგრამ ამ მხრივ, მდგომარეობა ჯერ კიდევ საკმაოდ მძიმეა. დაბალია მომხმარებელთა აქტივობა საკუთარი უფლებების დასაცავად, განსაკუთრებით საქართველოს რეგიონებში. მომხმარებელთა აქტიური ჩართულობის გარეშე კი რეფორმები სათანადო შედეგს ვერ გამოიღებს.

### კონკურსის მიზანი

საქართველოს რეგიონებში მოქმედ ორგანიზაციებში მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიმართულების განვითარება.

### კონკურსის ამოცანები

საქართველოს რეგიონებში საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ბაზაზე მომხმარებელთა დახმარების ცენტრების მხარდაჭერა, რომლებიც შემდეგ საქმიანობას განახორციელებენ:

- სურსათის ლაბორატორიული შემოწმებების, სურსათის ეტიკეტისა და მეწარმეთა საქმიანობის<sup>1</sup> შემოწმების ორგანიზება შემუშავებული გეგმის მიხედვით და, ასევე, მომხმარებლების მიმართვის საფუძველზე. შემოწმებების გეგმა შემუშავდება ევროპის ფონდთან თანამშრომლობით და გაითვალისწინებს, სულ მცირე, 9 ნიმუშის/მეწარმის შემოწმებას თვეში.

<sup>1</sup> იგულისხმება ის საქმიანობა, რაც თვალსაჩინოა რიგითი მომხმარებლისათვის, და არა, ვთქვათ, საწარმოო პროცესის შემოწმება, რაზეც მომხმარებელს ხელი არ მიუწვდება.



- გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი მეწარმისათვის, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურისათვის, მედიისათვის და, ასევე, ევროპის ფონდისათვის სპეციალურ ვებგვერდზე [www.mkidveli.ge](http://www.mkidveli.ge) განსათავსებლად.
- მოქალაქეთა კონსულტირება სურსათთან დაკავშირებულ საკითხებზე მომხმარებლის უფლებების დასაცავად, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.
- სხვა საქმიანობა, რომელიც ხელს შეუწყობს კონკურსის მიზნის მიღწევას.

კონკურსში წარმოდგენილი პროექტები უნდა განხორციელდეს 2016 წლის 1 ივნისიდან 2017 წლის 31 მაისის ჩათვლით, 12 თვის მანძილზე.

ფონდს შეუძლია მომხმარებელთა დახმარების ცენტრებს მხარი დაუჭიროს მხოლოდ მუნიციპალურ ცენტრებში. ფონდი იძულებულია შეზღუდოს ცენტრების განლაგების არეალი, იმისათვის, რათა ფონდის მიერ შეთავაზებული ეს სერვისი მაქსიმალურად იქნას გამოყენებული. ფონდის გამოცდილება მსგავსი საქმიანობის მხარდაჭერისა უჩვენებს, რომ მომხმარებელთა ზოგადი აქტიურობის დონე, დიდი რისკის ქვეშ აყენებს მცირე დასახლებებში მოხმარებელთა დახმარების ცენტრების მუშაობის ხარჯთეფექტიანობას.

### **ვის შეუძლია განაცხადების წარმოდგენა?**

განაცხადების წარმოდგენა შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

კონკურსში მონაწილეობის უფლება არა აქვთ ბიზნეს-ასოციაციებს, ისეთ ორგანიზაციებს, რომელთა უმთავრესი მიზანი, ან ძირითადი საქმიანობა ბიზნესის დახმარებასთან, ან მომსახურებასთან არის დაკავშირებული, ან სხვა ორგანიზაციებს, რომელთაც შეიძლება ინტერესთა შეუთავსებლობა გააჩნდეთ მომხმარებელთა დახმარების ცენტრის მიზნებთან და ამოცანებთან.

პროექტებში არ შეიძლება ჩართული იყვნენ სურსათის სექტორში დასაქმებული პირები, პარლამენტისა და მთავრობის წევრები, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, საჯარო დაწესებულებებისა და პოლიტიკური პარტიების თანამდებობის პირები, სოფლის მეურნეობის სტრუქტურაში დასაქმებული პირები, ან სხვა პირები, რომელთაც შეიძლება გააჩნდეთ ინსტერესთა შეუთავსებლობა მომხმარებელთა დახმარების ცენტრის საქმიანობასთან.

### **დაფინანსება**

საკონკურსო პროექტის საერთო ბიუჯეტი არ უნდა აღარაბედეს 27 000 ლარს.



კონკურსში წარმოდგენილი პროექტ ბიუჯეტი უნდა ითვალისწინებდეს მხოლოდ იმ ხარჯებს, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული პროექტის განხორციელებასთან. ბიუჯეტები არ უნდა მოიცავდეს ისეთ ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობასთან, მშენებლობასთან, უძრავი ქონების შეძენასთან, თუ ორგანიზაციის დავალიანების დაფარვასთან.

სურსათის ლაბორატორიული შემოწმების ხარჯები, მთელი პროექტის განმავლობაში, უნდა შეადგენდეს, სულ მცირე 12 000 ლარს, ხოლო შესამოწმებელი სურსათის შეძენის ხარჯები -- 1 000 ლარს.

აუცილებელია, რომ მომხმარებელთა დახმარების ცენტრს გააჩნდეს გადასატანი და სტაციონარული მაცივრები, მუშაობის პროცესში აღებული სურსათის ნიმუშების შესანახად. ცენტრმა ასევე უნდა უზრუნველყოს კლიენტებთან სატელეფონო საუბრების ჩაწერა.

ცენტრების რეკლამირებას ევროპის ფონდი საკუთარ თავზე იღებს და ამასთან დაკავშირებული ხარჯების პროექტის ბიუჯეტში შეტანა საჭირო არ არის.

### **შერჩევის პროცესი**

საკონკურსო განაცხადებს ევროპის ფონდის მენეჯმენტი, პროგრამის თანამშრომლები და ექსპერტთა საბჭო განიხილავენ. საბოლოო გადაწყვეტილებას კონკურსის გამარჯვებულთა შესახებ, ევროპის ფონდი იღებს.

განხილვის პროცესში განმცხადებელს შეიძლება დამატებითი ინფორმაციის მოწოდება მოეთხოვოს. ამისათვის მას 3 სამუშაო დღე მიეცემა.

### **შერჩევის კრიტერიუმები**

საკონკურსო განაცხადების შესაფასებლად შემდეგი კრიტერიუმები გამოიყენება:

1. კონკურსის მიზნებთან, ამოცანებთან და პირობებთან შესაბამისობა;
2. განმცხადებელი ორგანიზაციისა და პროექტის განმახორციელებელი გუნდის შესაბამისი გამოცდილება და კვალიფიკაცია;
3. ბიუჯეტის ხარჯთეფექტიანობა.

თუკი კონკურსში წარმოდგენილი პროექტებიდან სათანადოდ არც ერთი დააკმაყოფილებს კონკურსის კრიტერიუმებს, კონკურსის გამარჯვებული არ გამოვლინდება.



**გაიგე რას ჭამ!**

მოზარეობის უფლებების დაცვის  
სამოხელეობრივი მოძრაობა

სასურველია, რომ კონკურსის მონაწილეებს ჰქონდეთ სურსათის უვნებლობისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში საქმიანობის გამოცდილება. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რაოდენობა, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ, შეზღუდულია, ფონდი კონკურსში მონაწილეობისაკენ მოუწოდებს სხვა მიმართულებებში გამოცდილ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც.

კონკურსში გამარჯვებული პროექტების თანამშრომელთათვის დაგეგმილია ორდღიანი ტრენინგის ჩატარება მომხმარებელთა დახმარების ცენტრების ქართული და საერთაშორისო გამოცდილების გასაცნობად. გარდა ამისა, ევროპის ფონდი, საქიროების შემთხვევაში, მიმდინარე რეჟიმში გაუწევს კონსულტაციებს გრანტის მიმღებებს, პროექტების წარმატებით განსახორციელებლად.

### განაცხადების წარდგენის პროცედურები

განმცხადებლებმა ევროპის ფონდის ოფისში „სრული საპროექტო განაცხადის“ 6 ასლი უნდა წარადგინონ (ქართულ, ინგლისურ, ან რუსულ ენაზე). განაცხადის ფორმა იხილეთ ფონდის ვებგვერდზე <http://www.epfound.ge/georgian/grantis-madziebeltatvis/application-forms.html>

**განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 2016 წ. 11 აპრილი, 16:00 სთ.**

კონკურსის მონაწილეები ფონდისაგან წერილობით პასუხებს მიიღებენ არაუგვიანეს 2016 წ. 11 მაისისა.

### საკონტაქტო ინფორმაცია

ევროპის ფონდი, თბილისი, კავსაძის 3, მე-2 სართული, ტელ.: 225 39 42/43, ვებგვერდი: [www.epfound.ge](http://www.epfound.ge)

საკონტაქტო პირი: ლელა ბერძული, პროგრამის თანამშემწე, ელფოსტა: [LBERDZULI@EPFOUND.GE](mailto:LBERDZULI@EPFOUND.GE)

*კონკურსი ტარდება შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.*



**ევროპის  
ფონდი**